

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი #2

ქ.ონი

09.10. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ანა ბაქრაძე, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, დავით მეტრეველი, დიმიტრი გომაძე, დავით სხირტლაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, შორენა რეხვიაშვილი, ბექარი მაისურაძე, გელა მეტრეველი, აველი ორდინიძე, ალექსანდრე ბერიშვილი.

არ ესწრებოდნენ: ვანო ბალაშვილი, ღვთისაგარ ბაკურაძე, გიორგი მარკოიშვილი, კესო ჩარკვიანი, ნოდარ ბურდილაძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი, როზა ჩალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ასევე: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი და მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირინა გობეჯიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შეუბანში მდებარე (ქ. ონის შემოსასვლელში) უძრავი ქონებიდან (ს/კ88.18.23.038) 40.0კვ.მ-ის ფართობის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“.

/მომხსენებელი: ირინა გობეჯიშვილი-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

მოისმინეს 1. მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შეუბანში მდებარე (ქ. ონის შემოსასვლელში) უძრავი ქონებიდან (ს/კ88.18.23.038) 40.0კვ.მ-ის ფართობის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის,

პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ და აღნიშნა, რომ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ახორციელებს უფასო იურიდიულ კონსულტაციას და იურიდიულ დახმარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისთვის. სამართლებრივ დახმარებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, იურიდიული დახმარების ცენტრები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და იგეგმება მათ შორის ონის მუნიციპალიტეტშიც. სწორედ ამიტომ შემოდის მერია წინადადებით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შეუბანში მდებარე უძრავი ქონებიდან 88.18.23.038 რომლის მესაკუთრეც ონის მუნიციპალიტეტია, 40 კვ.მ. ფართობი გადაეცეს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შეუბანში მდებარე (ქ. ონის შემოსასვლელში) უძრავი ქონებიდან (ს/კ88.18.23.038) 40.0კვ.მ-ის ფართობის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დასრულების შემდეგ, თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

